ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელებას; დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციას, კეთილმოწყობას და მოვლა-პატრონობას; სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში დროებითი ნაგებობებისა და კონსტრუქციების მოწყობას; მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოების შესრულებას, რათა გაუმჯობესდეს არსებული ინფრასტრუქტურა, მოსახლეობისათვის შეიქმნას სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესების მიზნით სკვერების და რეკრეაციული ზონების კეთილმოწყობა; შენობების, ფასადების და სახურავების რეაბილიტაცია და სხვ.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისათვის შექმნილია რეკრეაციული ზონები; გაზრდილია რეაბილიტირებული და ახლად მოწყობილი პარკების და სკვერების რაოდენობა, სადაც შექმნილია ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშემწყობი სპორტულ-გამაჯანსაღებელი გარემო და დასვენების კომფორტული პირობები ყველა მოქალაქისთვის, მათ შორის ბავშვიანი დედეებისთვის, შშმ პირებისთვის და ა.შ.;</p> <p>გაუმჯობესებული და გალამაზებულია კორპუსებისა და შენობების იერსახე და სხვ.</p>			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საკადასტრო აზომვითი ნახაზები, ესკიზებისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 07 01		510,0	1 688,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე, რომელთა ღირებულება არ აღემატება 50,0 ათას ლარს, პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50,0 ათას ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით. პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით და სხვ.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	<p>ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურადაა მომზადებული; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები გამოირჩევა მაღალი ხარისხით და აკმაყოფილებს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდარტებს) და სხვ.</p>			



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შენიშვნის, ფასადებისა და სახურავების რეაბილიტაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 07 02		1 000,0	3 310,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქ ახალციხეში და ქალაქ ვალეში, ასევე ახალციხის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში ადმინისტრაციული შენობების, სოფლის სახლების, ამბულატორიების, რიტუალების სახლების და სხვათა მოწყობა-რეაბილიტაცია. ასევე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (კორპუსების) გადახურვა, ფასადების და სადარბაზოების რეაბილიტაცია. ქვეპროგრამის მიზანია სხვადასხვა სახის შენობების მოწყობა-რეაბილიტაცია, მოწესრიგება და იერსახის გაუმჯობესება და სხვ.			
მოსალოდნელი შედეგი	კეთილმოწყობილი და რეაბილიტირებული შენობები, სუფთა და მოწესრიგებული სადარბაზოები და სხვ.			
ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	პარკებისა და სკვერების მშენებლობა-რეაბილიტაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 07 03		340,0	1 125,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი პარკებისა და სკვერების მოწყობა, არსებული პარკებისა და სკვერების კეთილმოწყობა, რეაბილიტაცია, ქვეპროგრამის მიზანია სათანადო კომფორტული და ადაპტირებული დასასვენებელი გარემოს შექმნა ახალგაზრდებისთვის, ბავშვიანი დედებისთვის, გოგონებისთვის და ბიჭებისთვის, შშმ პირებისთვის, ასაკოვანი მოქალაქეებისთვის ტურისტებისთვის და სხვ. 2024 წელს იგეგმება რუსთაველის ქუჩის N11-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - 988 000,00 ლარი.			
მოსალოდნელი შედეგი	ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის და ჩამოსული ტურისტებისთვის შექმნილია ნორმალური სპორტულ-გამაჯანსაღებელი გარემო და რეკრეაციული ზონები და სხვ.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის ქვეპროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 07 04		581,9	1 926,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სოფლის მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტს გამოეყოფა სპეციალური ტრანსფერი, რომლის განგარიშებაც ხდება შემდეგი პრინციპით: ა) დასახლებას, რომლის მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 200 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 5 000 ლარი; ბ) დასახლებას, რომლის მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 201-დან 400-მდე მაცხოვრებელს, გამოეყოფა 6 000 ლარი; გ) დასახლებას, რომლის მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 401-დან 1 000-მდე მაცხოვრებელს, გამოეყოფა 8 000 ლარი; დ) დასახლებას, რომლის მაცხოვრებელთა რაოდენობა აღემატება 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 10 000 ლარი. დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის შერჩევა ხორციელდება შემდეგი წესით: ა) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა დასახლების საერთო კრებაზე, რომლის ჩატარებას			

	<p>უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი;</p> <p>ბ) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს 501-დან 1000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 100 ამომრჩეველმა;</p> <p>გ) დასახლებას, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა აღემატება 1000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 200 ამომრჩეველმა.</p> <p>თანხის გამოყოფასთან და ხარჯვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები და კრიტერიუმები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილებით. ქვეპროგრამის მიზანია გამოიკვეთოს, დადგინდეს და განხორციელდეს ის პრიორიტეტული ღონისძიებები, რომელთა მოგვარება და გადაჭრაც მნიშვნელოვანია ამა თუ იმ სოფლის მოსახლეობისთვის, გაიზარდოს მოსახლეობის აქტიურობა და სხვ.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>გაზრდილია მოსახლეობის აქტიურობა;</p> <p>მოსახლეობის აზრი გათვალისწინებულია საკუთარი დასახლების (სოფლის) პრობლემების გადაწყვეტაში;</p> <p>დაფინანსებული და განხორციელებულია პროექტები, რომელთა პრიორიტეტულობასაც განსაზღვრავს კონკრეტული დასახლების (სოფლის) მოსახლეობის უმრავლესობა, და სხვ.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „ახალციხის სასაფლაოების მართვის ცენტრი“	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 08 02		155,1	537,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ახალციხის სასაფლაოების მართვის ცენტრი“			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქ ახალციხის სასაფლაოების მოწყობა, გამწვანება, შემოღობვა, გასასვლელებისა და სავალი გზების კეთილმოწყობა და მოვლა-პატრონობა, ასევე, საფლავის საფასურისა და სარიტუალო საქმიანობასთან (სასაფლაოების დახურვა, ახალი სასაფლაოს გახსნა) დაკავშირებული შემოსავლების ადმინისტრირება.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ახალციხის ტერიტორიაზე არსებულ 6 სასაფლაოზე, რომლის ფართობია 283 366 კვ.მ, გასასვლელები, სავალი გზები იყოს მოწესრიგებული, მიმდინარეობდეს ინფრასტრუქტურის განახლება, სასაფლაოების მოვლა-პატრონობა და სხვ.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	არსებული სასაფლაოები შემოღობილი, გამწვანებული და მოწესრიგებულია, გასასვლელები და გზები კეთილმოწყობილია და სხვ.			

**მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა**

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3 486,6 ათასი ლარი. დასუფთავების და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	ათას ლარში 2024 წლის პროექტი
03 00	<b>დასუფთავება და გარემოს დაცვა</b>	3 486,6
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	275,6
03 02	ა(ა)იპ ახალციხის სერვის ჯგუფი	3 211,0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანას	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	03 01		275,6	912,2
პროგრამის განმახორციელებელი	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			

<p><b>პროგრამის აღწერა და მიზანი</b></p>	<p>პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტისათვის სანაგვე ურნების და სპეცტექნიკის შექმნა. ქვეპროგრამის მიზანია დასუფთავების ღონისძიების განხორციელებისთვის ხელშეწყობა და სხვა.</p>
<p><b>მოსალოდნელი შედეგი</b></p>	<p>შექმნილია ეკოლოგიურად ჯანსაღი და სუფთა გარემო, დასუფთავების მუნიციპალური სერვისი ფუნქციონირებს ხარისხიანად და სხვა.</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	03 02		3 211,0	10 628,8
<p><b>პროგრამის განმახორციელებელი</b></p>	<p><b>ა(ა)იპ ახალციხის სერვის ჯგუფი</b></p>			
<p><b>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</b></p>	<p>პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიის დასუფთავება, რაც თავის მხრივ მოიცავს მუნიციპალიტეტის ქალაქების, სოფლების, ქუჩებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების, ეზოების, პარკების დაგვას, ნარჩენების შეგროვებას და გატანას. მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის დახმარებით განხორციელდა ნაგვის ურნების შექმნა. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოხეტიალე უპატრონო ცხოველების იმუნიზაცია, კასტრაცია და სტერილიზაცია.</p> <p>ისეთი ხარჯები, როგორცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ, დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის პროგრამიდან. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნაგვის გატანაზე მუშაობს 10 ნაგავმზიდი.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალური სერვისების ხარისხიანი ფუნქციონირება, ეკოლოგიურად სუფთა, ჯანსაღი და მოწესრიგებული გარემოს შექმნა და სხვა.</p>			
<p><b>მოსალოდნელი შედეგი</b></p>	<p>შექმნილია ეკოლოგიურად ჯანსაღი და სუფთა გარემო, დასუფთავების მუნიციპალური სერვისი ფუნქციონირებს ხარისხიანად და სხვა.</p>			

**მუხლი 15. განათლება**

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 5 950,3 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის პროექტი
04 00	განათლება	5 950,3
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	5 645,0
04 01 01	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	5 645,0

04 02	განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	261,0
04 02 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა	261,0
04 02 02	ახალციხის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ტრანსპორტით უზრუნველყოფა	0,0
04 03	ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს	44,3

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	04 01 01		5 645,0	18 831,3
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის თანახმად აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ახალციხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები საბავშვო ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 28 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1830 ბავშვი. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 474 საშტატო ერთეული, ადმინისტრაცია; აღმზრდელები და სხვაპერსონალი.</p> <p>"სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების" პროგრამის მიზანია: ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დადგენილი მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა; ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა და სხვა.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	<p>ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილია შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცულია საქართველოს მოქმედი კანონდებლობით დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცულია სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში სარგებლობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1870-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 95%-ს შეადგენს, და სხვა.</p>			

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	04 02 01		261,0	863,9
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>აღნიშნული ქვეპროგრამიდან ფინანსდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის ხარჯები, ასევე მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის შეძენის ხარჯები.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში საადმინისტრაციო პროცესის ხელშეწყობა და აღსაზრდელთათვის და პერსონალისთვის საუკეთესო პირობების შექმნა, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ინვენტარის განახლება და სხვა.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდების განათლების დონის ამაღლება და სხვა.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალციხის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ტრანსპორტით უზრუნველყოფა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	04 02 02		0,0	0,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების შენობების რეაბილიტაცია და აღდგენა, ასევე მოსწავლეთა უზრუნველყოფა სასკოლო ტრანსპორტით. ქვეპროგრამის მიზანია საჯარო სკოლებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, პედაგოგებისთვის ეფექტური მუშაობისთვის ხელშეწყობა, სამუშაო პირობების გაუმჯობესება და სხვ.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის სკოლებში სასკოლო ასაკის მოზარდები განათლებას იღებენ კომფორტულ გარემოში, სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვის და ეფექტური მუშაობის ხელშეწყობის მიზნით პედაგოგებისთვის შექმნილია ხელსაყრელი პირობები და სხვ.			

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	04 03		44,3	146,6
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების სპორტის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება წარმატებული სტუდენტების დაფინანსება ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიით. ქვეპროგრამის მიზანია სტუდენტების ხელშეწყობა, წახალისება, მოტივაციის ამაღლება და სხვა.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	წარმატებული და მოტივირებული სტუდენტების გაზრდილი რაოდენობა და სხვ.			

### მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3 616,4 ათასი ლარი. კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის პროექტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3 616,4
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1 439,8
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	214,0
05 01 02	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	100,0
05 01 05	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება	1 125,8
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1 908,2
05 02 01	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება	664,5
05 02 02	ა(ა)იპ სკოლისგარეშე საგანმანათლებლო-სახელოვნებო დაწესებულება ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა	522,8
05 02 03	ა(ა)იპ სკოლისგარეშე საგანმანათლებლო-სახელოვნებო დაწესებულება ქალაქ ახალციხის სამხატვრო სკოლა	190,8
05 02 04	ა(ა)იპ ახალციხის ციხე	0,0
05 02 07	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	230,1
05 02 08	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	100,0
05 02 09	კულტურული მემკვიდრეობისა და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	200,0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	113,4
05 03 01	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	113,4
05 04	თეატრები	125,0
05 05	ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია	30,0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		214,0	708,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის, სპორტული პროგრამების განყოფილება			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება:</p> <p>სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირების ორგანიზება;</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები:</p> <p>სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული, რომლებშიც მონაწილეობენ ახალციხის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები და სხვა ღონისძიებები.</p> <p>პროგრამის მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩატარებული სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების გაზრდილი რაოდენობა და მასში ახალგაზრდების მასიური ჩართულობა. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ჩართულობა სპორტულ ღონისძიებებში. მეტი ახალგაზრდა და წარმატებული სპორტსმენი და სხვ.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		100,0	331,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტში ხორციელდება სპორტული მოედნების რეაბილიტაცია და ახლის მოწყობა; ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცხოვრების დონის ამაღლება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და სხვ.			
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცხოვრების დონის ამაღლება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და სხვ.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კომპლექსური სასპორტო ღონისძიებების განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 01 05		1 125,8	4 050,9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სპორტული გაერთიანება მოიცავს 8 სპორტულ მიმართულებას (კლუბს), ესენია: ფეხბურთი, სპორტული გაერთიანების ბაზაზე ფუნქციონირებს ფეხბურთის გუნდი „სამცხე“, ჭიდაობისა და ძიუდოს კლუბი, მძლეოსნობის კლუბი, რაგბის კლუბი, ჭადრაკის კლუბი, კალათბურთის კლუბი, კრივის კლუბი, ორთაბრძოლის კლუბი, სპორტულ გაერთიანებაში სპორტის სახეობებს ეუფლება 470 მოზარდი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ, სპორტულ გაერთიანებაში დასაქმებულია 85 თანამშრომელი, მათ შორის მწვრთნელი - 38, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი - 34, არასამტატო თანამშრომელი - 17.</p> <p>სპორტული გაერთიანების სპორტსმენები პერიოდულად მონაწილეობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც ადგილობრივი, ასევე რეგიონალური და რესპუბლიკური მასშტაბით, მონაწილეობენ საერთაშორისო შეჯიბრებებშიც. 2023 წელს გაერთიანების სპორტსმენებმა სპორტის სხვადასხვა სახეობებში მოიპოვეს ოქროს 47, ვერცხლის 34 და ბრინჯაოს 54 მედალი.</p> <p>სპორტული გაერთიანება მიზნად ისახავს სისტემატურად იზრუნოს სპორტული მოედნის, ბილიკებისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობაზე.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია დაიცვას გენდერული თანასწორობა და თანაბრად შეუწყოს ხელი როგორც ვაჟების, ასევე გოგონების დაინტერესებას, ხელშეწყობას და მოზიდვას სხვადასხვა სპორტულ სახეობებში, ქვეპროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება-პოპულარიზაცია, სპორტსმენების აღზრდა, განვითარება, ოლიმპიურ, მსოფლიო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე ლიცენზიების მოპოვება და სხვ.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	წარმატებით ჩატარებული ადგილობრივი და გასვლითი სპორტული შეჯიბრებების გაზრდილი რაოდენობა. მეტი წარმატებული სპორტსმენი, გაუმჯობესებული და განახლებული სპორტული ინფრასტრუქტურა, სპორტული ინვენტარითა და ფორმებით აღჭურვილი სპორტსმენების გაზრდილი რაოდენობა და სხვ.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		664,5	2 199,5

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<b>ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება</b>
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 კულტურის სახლი, 1 სკოლა- მუზეუმი, 13 ბიბლიოთეკა, 13 ახალგაზრდული ცენტრი და ფოლკლორული ანსამბლი - „მესხეთი“.</p> <p>კულტურის სახლებში გაერთიანებულია ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული, ფოლკლორული, ზავშვთა მუსიკალური წრეები. წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 800 აღსაზრდელი, ფოლკლორული ანსამბლი „მესხეთი“ შედგება 11 წევრისაგან. ანსამბლი აქტიურად მონაწილეობს როგორც მუნიციპალიტეტში დაგეგმილ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის გარეთ სხვადასხვა ფესტივალებში.</p> <p>გაერთიანებაში შემავალ სოფელ მუსხის სკოლა-მუზეუმში ახალგაზრდები ეუფლებიან ტრადიციული, მესხური ფარდაგ-ხალიჩების ქსოვის, მატყლის დამუშავების ხელოვნებას. დღეის მდგომარეობით მუზეუმში განთავსებულია 3 000 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 800-ს.</p> <p>მუნიციპალიტეტის 13 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 139 150 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 18 000 მოსახლე (გაცემული წიგნების რაოდენობის მიხედვით) 2024 წლისათვის 12 000 ლარია გათვალისწინებული ახალი წიგნების შესაძენად (მკითხველთა მოთხოვნის შესაბამისად).</p> <p>მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დაქვემდებარებაში შემავალი 13 ახალგაზრდული ცენტრის მიზანია ქვეპროგრამის ფარგლებში ახალგაზრდების დაინტერესება სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობებით, რათა არ მოხდეს ახალგაზრდობის მიგრაცია სოფლიდან ქალაქად და მეტი ახალგაზრდა ჩაერთოს კულტურულ ღონისძიებებში, რაც ხელს შეუწყობს მათ განვითარებას და შექმნილი უნარ-ჩვევების გამოყენებას სოფლის სასარგებლოდ. ახალგაზრდულ ცენტრებში აქტიურად მუშაობენ ახალგაზრდა მუშაკები, რომლებიც ჩართულები არიან სოფლის განვითარებაში. ეხმარებიან მოსახლეობას სხვადასხვა აქტივობების შესრულებაში.</p> <p>მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება, ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა ახალგაზრდულ ცენტრებში. ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და სხვ.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. კულტურის სახლებსა და ახალგაზრდულ ცენტრებში მოქმედებს სხვადასხვა წრეები. კულტურის სახლები, ახალგაზრდული ცენტრები, ბიბლიოთეკები და მუზეუმი საკუთარ მომსახურებას სთავაზობენ მსურველებს, კულტურის გაერთიანება უზრუნველყოფს მასში შემავალი ობიექტების სამუშაო პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას, ხელს უწყობს სხვადასხვა აქტივობების ორგანიზებას და ახალგაზრდების წახალისებას (განსაკუთრებით სოფლად), გაზრდილია ინფორმაციის მიწოდება და ჩართულობა სხვადასხვა შემეცნებითი საკითხების ირგვლივ და სხვ.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სამუსიკო ხელოვნების შესწავლა და პოპულარიზაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		522,8	1 730,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<b>ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა</b>			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება 3 სამუსიკო სკოლა: ქალაქ ახალციხის, ქალაქ ვალის და სოფელ აწყურის სამუსიკო სკოლები, რომლებშიც დაწყებით და საბაზისო მუსიკალურ განათლებას 2022-2023 სასწავლო წელს იღებს სულ 454 მოსწავლე. ორგანიზაციაში დასაქმებულია 50 პედაგოგი და 18 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი. სამუსიკო სკოლებში ფუნქციონირებს 5 განყოფილება: საფორტეპიანო, საგუნდო-სადირიჟორო, ჩასაბერი ინსტრუმენტების (ფლეიტა), დასარტყამი ინსტრუმენტების და საორკესტრო. ქვეპროგრამის განხორციელების მიზანია ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მომავალი თაობების მუსიკალური, კულტურული და ესთეტიკური აღზრდა, მუნიციპალიტეტის კულტურული გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარება, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა, გარე სამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბება, საზოგადოების აქტიური ჩართვა მიმდინარე კულტურულ პროცესებში, სოციალურად დაუცველ და შეზღუდული შესაძლებლობის მოსწავლეთა დაინტერესება. სამუსიკო სკოლები ხელს უწყობენ და აძლევენ შესაბამის განათლებას განსაკუთრებული მუსიკალური მონაცემების მქონე მოსწავლეებს, რომლებიც მომავალში გეგმავენ უმაღლესი მუსიკალური</p>			



	<p>განათლების მიღებას. ქვეპროგრამის მიზანია ყველა დაინტერესებულმა ბავშვმა მიიღოს დაწყებითი მუსიკალური განათლება. მოხდეს ეროვნული უმცირესობის მუსიკალური ცნობიერების ამაღლება, რათა სკოლის ასაკიდანვე ეზიარონ ქართულ მუსიკას. მოსწავლეებმა მიიღონ მონაწილეობა, როგორც რეგიონულ ისე ეროვნულ და საერთაშორისო ფესტივალებში. სამუსიკო სკოლების პედაგოგები ვერ სარგებლობენ „პედაგოგის სტატუსით“, კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ განხორციელებული პედაგოგთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების სპეციალური პროგრამებით, როგორცაა: პედაგოგთა ჯანმრთელობის დაზღვევა, დანამატი მაღალმთიანი დასახლებაში დასაქმებული პედაგოგებისთვის, პედაგოგთა სერტიფიცირების შედეგად ხელფასის ზრდა და სხვ. ამდენად, პროგრამის ფარგლებში ეტაპობრივად უნდა გაიზარდოს დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება, რათა მოხდეს სკოლებში მაღალი დონის სპეციალისტების შენარჩუნება და ახალგაზრდა თაობისათვის სკოლაში მუშაობის დაწყების მოტივაციის ამაღლება. სამუსიკო სკოლებში სწავლა უფასოა, სკოლა სრულად ფინანსდება ახალციხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუსიკალური განათლება ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტის ყველა მოსწავლისთვის, წინა წელთან შედარებით გაზრდილია მოსწავლეთა რაოდენობა 5%-ით. მაღალია მუსიკალური კულტურა, მუნიციპალიტეტში სისტემატურად ტარდება მუსიკალური ფესტივალები და კონკურსები. სამუსიკო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ და წარმატებებს აღწევენ რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებზე. მნიშვნელოვნად ამაღლებულია მოსწავლეთა მუსიკალური განათლების დონე; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭის მქონე კურსდამთავრებულები სწავლას აგრძელებენ უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებლებში და სხვა.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სამხატვრო ხელოვნების შესწავლა და პოპულარიზაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		190,8	631,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<b>ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ქალაქ ახალციხის სამხატვრო სკოლა</b>			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ახალციხის სამხატვრო სკოლაში ისწავლება ხელოვნების შემდეგი მიმართულებები: ხატვა, ფერწერა, მოდელობა, ქანდაკება, კერამიკა, გამოყენებითი ხელოვნება, ხალხური ფარდაგების და თექის დამზადების ტექნოლოგიის შესწავლა. სკოლა წარმატებულია როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო მასშტაბით. სკოლის მოსწავლეებს სხვადასხვა გამოფენებსა და კონკურსებში მიღებული აქვთ საპრიზო ადგილები. სკოლაში დასაქმებულია 13 თანამშრომელი, აქედან: 9 პედაგოგი და 4 ადმინისტრაციის წარმომადგენელი. ახალციხის სამხატვრო სკოლაში 2022-2023 სასწავლო წელს ირიცხებოდა 329 მოსწავლე. სწავლის მსურველთა რიცხვი იზრდება ყოველწლიურად. სკოლის ბიუჯეტი შეადგენს 159 000 ლარს. 2024 წელს მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვრება 350 მოსწავლის ოდენობით და ბიუჯეტი იზრდება 177 500 ლარამდე.</p> <p>მომავალი თაობების აღზრდაში, ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსწავლეთათვის ხელოვნების შესწავლას. ახალციხის სამხატვრო სკოლის მიზანია მომავალი თაობების კულტურული და ესთეტიკური აღზრდა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა, განვითარება, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესება. ქვეპროგრამის მიზანია სასწავლო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, მოსწავლეთა ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირება, სამუშაო ჯგუფების მუშაობის გაუმჯობესება, დახვეწა და მოსახლეობის ინტერესებზე მორგება, შშმ მოსწავლეთა აქტივობის ამაღლება და საზოგადოებაში სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა და სხვა.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	<p>დაწესებულების სასწავლო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესებულია, ხდება მოსწავლეთა ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირების მაქსიმალური ხელშეწყობა, სამუშაო ჯგუფების მუშაობა გაუმჯობესებული, დახვეწილი და მოსახლეობის ინტერესებზე მორგებულია. აქტიურად ხორციელდება შშმ მოსწავლეთა აქტივობის ამაღლება და საზოგადოებაში სოციალური ინტეგრაცია და სხვა.</p>			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 07		230,1	761,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<b>ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის, კულტურის, განათლებისა და ძეგლთა დაცვის განყოფილება.</b>			

<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალციხის მინიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებში ღონისძიებების, ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი სადამოების ორგანიზებას; კულტურული პროექტების თანადაფინანსებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების წახალისებას; კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების ხელშეწყობას, ტრანსპორტით უზრუნველყოფას კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. ქვეპროგრამა განსაზღვრულია ახალციხის მუნიციპალიტეტში ტრადიციად ქცეული, სახალხო, გასართობი სადღესასწაულო ღონისძიებების ორგანიზებაზე, რომლებიც გათვლილია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა ასაკისა და გემოვნების ადამიანებზე, აგრეთვე ვიზიტორებისთვის სასიამოვნო, გასართობი გარემოს შექმნაზე. პროგრამები ითვალისწინებს ადგილობრივი და მოწვეული შემოქმედებითი კოლექტივების კონცერტებსა და შოუებს; ქართული და მესხური ტრადიციული კულტურის წარმოჩენასა და მის პოპულარიზაციას, ფესტივალების გამართვას და ადგილობრივი შემოქმედებითი კოლექტივების სხვა ფესტივალებზე მონაწილეობას. ნიჭიერი ახალგაზრდების წარმოჩენას და მათ დაჯილდოებას. სოფლად მცხოვრები ადამიანების დაფასებასა და მათი ყოველდღიური ცხოვრების გამრავალფეროვნებას, სამეწარმეო ფესტივალების ჩატარებას, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მეწარმეობის განვითარებას, მათი პროდუქციის გამოფენა-გაყიდვების მოწყობას. აქტივობების მიზანია ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა სოციალური ჯგუფების - შშმ პირების, მრავალშვილიანი, მარჩენალდაკარგული და მარტოხელა ოჯახების, ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებასთან და გარემოსთან ინტეგრაციის ხელშეწყობა. მათი მონაწილეობა და ჩართულობის გაზრდა მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში. ასევე ქვეპროგრამა ითვალისწინებს საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი სადამოების ორგანიზებას; კულტურული პროექტების დაფინანსებას; აგრეთვე სხვა ღონისძიებებს.</p> <p>გენდერულ საკითხებში პროგრამა ითვალისწინებს: ა) გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას და ადგილობრივ დონეზე გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფას; საზოგადოების ინფორმირებას გენდერული თანასწორობის თემებთან დაკავშირებით;</p> <p>ბ) ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების და სხვა პრობლემური ქცევების პრევენციის უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილი აქტივობების ადმინისტრაციული ხელშეწყობას;</p> <p>გ) ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალების საზოგადოებაში ჩართულობის და ინტეგრაციის ხარისხის გაზრდის მიზნით დაგეგმილი აქტივობებს;</p> <p>დ) ქალთა და გოგონათა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით აქტივობების ორგანიზებასა და წახალისებას.</p> <p>ე) შშმ პირების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების დახმარებისა და გააქტიურების უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილი აქტივობების უზრუნველყოფას, აგრეთვე სხვა ღონისძიებებს, და სხვა.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და კულტურულ ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობის ზრდა, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანები მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა მათი შემოქმედების წარმოჩენის გზით. მუნიციპალიტეტში შექმნილია ყველა პირობა გენდერული თანასწორობის დაცვისა და ხელშეწყობისათვის და სხვ.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 08		100,0	331,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტში ხორციელდება კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია და ახლის მოწყობა; ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობაში კულტურული ცხოვრების დონის ამაღლების ხელშეწყობა, ხელოვნების პოპულარიზაცია და სხვ.			
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კულტურული ცხოვრების დონე გაუმჯობესებულია და სხვ.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული მემკვიდრეობისა და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 09		200,0	662,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ეკლესიების და მონასტრების მისასვლელი გზების რეაბილიტაცია და კულტურული ძეგლების და რელიგიური ორგანიზაციების ინფრასტრუქტურული მოწყობა. ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის და რელიგიური ძეგლების ისტორიული იერსახის შენარჩუნება, მისასვლელი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ტურიზმის ხელშეწყობა და სხვ.			
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში კულტურული მემკვიდრეობისა და რელიგიური ძეგლების ისტორიული იერსახე შენარჩუნებულია, გაზრდილია ტურისტული პოტენციალი, მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა და სხვ.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	05 03 01		113,4	375,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განყოფილება			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალციხის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის მრავალფეროვანი და გრძელვადიანი პროგრამების დაგეგმვა/განხორციელებას.</p> <p>პროგრამების დაგეგმვამდე სამსახური იკვლევს ადგილობრივ დონეზე არსებულ საჭიროებებს და ინტერესებს. მნიშვნელოვანია, რომ განხორციელებული პროგრამები იყოს გრძელვადიანი და შედეგებზე ორიენტირებული. მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა ახალგაზრდული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც არის მტკიცებულებებზე დაფუძნებული და წარმოადგენს გრძელვადიან დოკუმენტს. სტრატეგიის მიზანია ადგილზე შექმნას განვითარებისთვის ისეთი გარემო, სადაც ახალგაზრდებს ექნებათ ღირსეული დასაქმების შესაძლებლობა, ხელი მიუწვდებათ ხარისხიან განათლებაზე და დაცული იქნება მათი შრომის უფლებები, იქნებიან აქტიური მოქალაქეები, დაინტერესდებიან ცხოვრების ჯანსაღი წესით და ექნებათ უსაფრთხო გარემო, თვითრეალიზაციის შესაძლებლობა, ინფორმაციული წვდომა და მათი ინიციატივები მხარდაჭერილი იქნება. ახალგაზრდებს განუვითარდებათ სამეწარმეო უნარები, მათთვის ხელმისაწვდომი იქნება მრავალფეროვანი კულტურული და სპორტული პროგრამები, ისარგებლებენ თანაბარი შესაძლებლობებით და სხვ.</p> <p>რეგიონისთვის მნიშვნელოვანია სრულად მოხდეს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის რეალიზება და წარმოჩენა. ადგილზე შეისწავლება ყველა ტურისტულ ობიექტი. განიხილავს სხვადასხვა შესაძლებლობებს. შიდა ტურიზმის გასავითარებლად; ა)ა)პ სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციასთან ერთად კოორდინირებულად აწყობს ტურისტულ გამოფენებს და ინფოტურებს, ბეჭდავს და ავრცელებს ინფორმაციას მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ობიექტების, სერვისების და ტურისტული მომსახურებების შესახებ. ამზადებს სარეკლამო-საინფორმაციო რგოლებს. მიმდინარეობს ახალი ტურისტული ლოკაციებისთვის მანიშნებლების განთავსების ადგილების შერჩევა. მუშაობა მიმდინარეობს საოჯახო ტიპის სასტუმროების მფლობელებთან გასტრონომიული ტურიზმის განვითარების კუთხით, განსაკუთრებით, ადგილობრივი, მესხური კერძების პოპულარიზაციისათვის და სხვა ღონისძიებები.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისთვის შექმნილია შესაბამისი გარემო, სადაც ახალგაზრდებს შეუძლიათ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვა. შესწავლილი და გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სპეციფიკური საჭიროებები და ინტერესები; პროფესიონალების მიერ შემუშავებულია შესაბამისი მიდგომები და პროგრამები. გაუმჯობესებულია ახალგაზრდების მდგომარეობა. ახალგაზრდების ინტელექტუალური დონე მნიშვნელოვნად ამაღლებულია, პროექტები განხორციელებულია თვისობრივად და ხარისხობრივად მაღალორგანიზებულად და სხვ.</p>			

პროგრამის დასახელება	კოდი	თეატრები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 04		125,0	413,8
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრისა და ახალციხის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის ფინანსურ მხარდაჭერას და ხელშეწყობას.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია ხელოვნების პოპულარიზაცია, რეგიონში კულტურული ცხოვრების დონის ამაღლება და სხვ.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია მოქალაქეების მხრიდან ხელოვნების მიმართ დაინტერესება და სხვ.			

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	05 05		30,0	99,3
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და USAID/Zrda-ის მხარდაჭერით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არსებულმა ექვსევი მუნიციპალიტეტმა (ადიგენი, ასპინძა, ახალციხე, ახალქალაქი, ბორჯომი, ნინოწმინდა) დააფუძნა სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია. ორგანიზაცია წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს და მისი არსებობა დამოუკიდებელია მისი წევრებისგან. სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია მიზნად ისახავს სფეროში ჩართულ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობას რეგიონში.</p> <p>ტურისტული აქტივობებისა და მიმართულებების მხარდასაჭერად, ორგანიზაცია მოახდენს რეგიონის პოპულარიზებისაკენ მიმართული აქტივობების კოორდინირებას კერძო და საჯარო სექტორებსა და თვითონ ორგანიზაციის წევრებს შორის. აქტივობები განხორციელდება სტრატეგიის შემუშავებისა და რეგიონული ტურიზმის განვითარების კუთხით, ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად და საქართველოს ეროვნული ტურიზმის განვითარების სტრატეგიისა და პრიორიტეტების მიხედვით.</p> <p>ორგანიზაცია ხელს შეუწყობს ახალი ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურებების შექმნას, როგორც ორგანიზაციის წევრების, ასევე ზოგადად, რეგიონში ტურიზმის სექტორის საკეთილდღეოდ; წახალისებს კერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლობას რეგიონული ტურიზმის პოპულარიზებისთვის აქტივობების დასაგეგმად და განსახორციელებლად. ხელს შეუწყობს რეგიონში მოქმედი ბიზნეს-კომპანიების ხარისხის განვითარებას და რეგიონის იმიჯის შექმნას, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ, ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების მოსაზიდად და სხვ.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	რეგიონის ტურიზმის სტრატეგიული დაგეგმვა, ტურიზმის სფეროში ჩართული მხარეების (სთეიქჰოლდერების) კოორდინაცია და სამცხე-ჯავახეთის, როგორც დანიშნულების ადგილის მარკეტინგი და სხვ.			

**მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1 876,67 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	ათას ლარში
		2024 წლის პროექტი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 876,6
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	0,0
06 01 02	ამბულატორიების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	0,0
06 02	სოციალური დაცვა	1 876,6
06 02 01	სამშობლოს დაცვისას დალუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა, იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურება	4,2
06 02 02	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დახმარება	270,0
06 02 03	II მსოფლიო ომის ვეტერანების, ომის მონაწილე ინვალიდების და ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება	16,0
06 02 04	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	238,2
06 02 05	ხანძრით დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარება	18,0
06 02 06	იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და უკიდურესად გაჭირვებულთა სოციალური დახმარება	311,2
06 02 07	99 წელს გადაცილებულ უზუცესთა და დედ-მამით ობოლ ბავშვთა ერთჯერადი დახმარება	42,0
06 02 08	ქალაქ ახალციხეში მგზავრთა გადაყვანის პროგრამა	44,0

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის პროექტი
06 02 09	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების ერთჯერადი დახმარება ყოველ ახალშობილზე	99,0
06 02 10	ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში განვითარებული მეწყერის შედეგად დაზარალებული ოჯახების თანადაფინანსება	24,0
06 02 11	მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	810,0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა, იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01		4,3	14,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა განყოფილება			
